Summer Science Academy 2011

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია 2011

ზოგადი ინფორმაცია: უკვე მესამე წელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი „საზაფხულო სამეცნიერო აკადემიას“ ატარებს, რომელიც ამჯერად 2011 წლის 21 ივნისიდან 1 ივლისამდე გაიმართება. აკადემიაში 7–12 კლასების მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

მიზანი: საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ემსახურება მიზანს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ინტერდისციპლინური, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტები; ადრეულ ასაკში შეუწყოს ხელი მოსწავლეთა სამომავლო ინტერესების გაღვივებას და პრობლემების გადამწყვეტი, შედეგზე ორიენტირებული, სხარტი თაობის მოზიდვას უნივერსიტეტში.

პროგრამა: აკადემიის ფარგლებში სემინარ/მოხსენებებს მეცნიერები და სტუდენტები წარმართავენ. მოსწავლეთა ჯგუფებს შორის მოხდება ზოგიერთი აქტუალური საკითხის განხილვა, რაც დისკუსიას და გამოცდილების გაზიარებას შეუწყობს ხელს. დამატებით განსაზღვრულია ექსპერიმენტზე დაკვირვება, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა.

წელს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ქიმიის საერთაშორისო წელს აღნიშნავს (www.chemistry2011.org). როგორც ქიმიის საერთაშორისო წლის (IYC 2011) ოფიციალური ღონისძიება საზაფხულო სამეცნიერო აკადემია* სწორედ ქიმიის მიმართულებით გაძლიერდება. განსაკუთრებულად იქნება წარმოდგენილი შემდეგი ოთხი სფერო: გარემო, ენერგეტიკა, მასალები და ჯანმრთელობა. ასევე დაგეგმილია CERN–ის (ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია) მეცნიერებთან ერთდღიანი პროექტი, პროექტის “Promotion of biodiversity through restoration of quarries” (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კარიერების აღდგენის გზით; Heidelberg Cement PLC and German International Cooperation (GIZ)) წარმომადგენლებთან შეხვედრა და IYC გლობალური წყლის ექსპერიმენტში ** მონაწილეობა.

აქტიური მონაწილე მოსწავლეები თსუ საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის დიპლომებითა და სერტიფიკატებით დაჯილდოვდებიან.

სამუშაო ენა ქართულია, ზოგიერთი სემინარი უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული) შეიძლება წარიმართოს და/ან სინქრონული თარგმნით იქნას მიწოდებული.

საზაფხულო სამეცნიერო სკოლის თარიღები: 21.06.2011– 1.07.2011

სამუშაო საათები: 9:00 – 14:00; ზოგიერთი ღონისძიების შემთხვევაში 9:00 – 16:00.

უზრუნველყოფა: მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საზაფხულო სამეცნიერო აკადემიის პროგრამით. ზოგიერთ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა შეზღუდულია და ექვემდებარება 21 ივნისს დამატებითი რეგისტრაციის გავლას.

ადგილმდებარეობა: აკადემია გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II და XI კორპუსებში. დეტალურ ინფორმაციას მონაწილე მოსწავლეები დამატებით მიიღებენ.

მოსწავლეთა მიღება სააპლიკაციო საბუთებით მოხდება. შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა და დამატებითი საბუთები 2011 წლის 20 აპრილიდან 20 მაისის ჩათვლით მიიღება შემდეგ მისამართზე: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახური; ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ); თსუ XI კორპუსი, ოთახი 303, უნივერსიტეტის ქ. 3, თბილისი, საკონტაქტო პირი ხათუნა კახიანი. სრული სააპლიკაციო საბუთების გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: scienceacademy-ssa@tsu.ge და/ან scienceacademy2010@gmail.com

აპლიკაციისათვის საჭირო ჩამონათვალი:

- შევსებული განაცხადის ფორმა;
- მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/თხზულება;
- სკოლაში აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი საბუთი (მიმდინარე ნიშნებით).

საზაფხულო სამეცნიერო აკადემიაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები ელექტრონულად 2011 წლის 31 მაისამდე მიიღებენ.

მოხარული ვიქნებით დაინტერესებული სკოლის მოსწავლეების გამოხმაურებით.

ჩვენ თქვენთან ერთად ვზეიმობთ ქიმიის საერთაშორისო წელს!

* http://www.chemistry2011.org/participate/activities/show?id=1026
** http://water.chemistry2011.org/web/iyc

მოსწავლის განაცხადის ფორმა 2011

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„საზაფხულო სამეცნიერო აკადემია“

“საბავშვო უნივერსიტეტი”

აპლიკაციის წარდგენის ბოლო ვადა: 2011 წლის 20 მაისი

მოსწავლის სახელი და გვარი: ----------

სახლის მისამართი: ----------

ქალაქი, საფოსტო კოდი: ----------

დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი): ----------

სქესი (შემოხაზეთ ერთ-ერთი): მდედრობითი მამრობითი

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე ამჟამად სწავლობს: ----------

---

კლასი: ----------

სკოლის დასახელება სადაც მოსწავლე 2011-2012 აკადემიური წლის განმავლობაში ისწავლის:

ჩამოთვალეთ ღონიძიებები და/ან პროექტები (საზაფხულო სკოლა, კონკურსი, საგნობრივი ოლიმპიადა და ა. შ.), რომელშიც მოსწავლემ 2010–2011 აკადემიურ წელს მიიღო მონაწილეობა (ჩამოთვალეთ ჯილდოები, გამოიყენეთ დამატებითი ფურცელი თუ ეს საჭიროა):

ინფორმაცია მშობლების (მეურვეების) შესახებ:

მშობლის ან მეურვის სახელი და გვარი: ----------

დღის განმავლობაში საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:----------

სახლის ტელეფონის ნომერი: ----------

მობილური ტელეფონის ნომერი: ----------

ელექტრონული ფოსტა: ----------

მშობლის ხელმოწერა: ----------

თარიღი:----------

** განაცხადის ფორმას თან უნდა დაერთოს მოსწავლის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი/ თხზულება და სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი ცნობა სკოლიდან (მიმდინარე ნიშნებით). თხზულება უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 250 სიტყვას. მოსწავლემ უნდა მიუთითოს თუ რატომ დაინტერესდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზაფხულო სამეცნიერო აკადემიით, რა გამოცდილების მიღებს იმედი აქვს და რა როლს შეასრულებს აკადემია მის მომავალში. თხზულების დასაწყისში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული მოსწავლის სახელი და გვარი, კლასი და სკოლა. სააპლიკაციო საბუთები ელექტრონულადაც შეიძლება იქნას მიღებული.

გელით უნივერსიტეტში ☺